ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო[1]

თბილისი, 25 ივლისი 2014 წ.

მესამე სხდომის ოქმი

2014 წლის 25 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მესამე სხდომა გაიმართა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შსს-ს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს დირექტორი ირაკლი ბერაია. საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემადგენლობაში შემავალი შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები. აღნიშნულ სხდომას ასევე დაესწრნენ ა.შ.შ.-ის საელჩოს საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) წარმომადგენლები და სხვა უცხოელი პარტნიორები.

სხდომაზე საბჭოს შემადგენლობაში შემავალმა უწყებებმა გააკეთეს პრეზენტაციები „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის" სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების 6 თვის ანგარიშთან დაკავშირებით.

სხდომაზე ასევე განიხილეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შემფასებელი მისიის ფარგლებში ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და აღკვეთის საკითხებზე ევროკავშირის ექსპერტის შეფასების ანგარიში.

ირაკლი ბერაია

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ
ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო
საბჭოს მდივანი ორგანიზებული დანაშაულის
წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო
საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

---

[1] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და დებულება დამტკიცდა 2013 წლის 13 ივნისის საქართველოს მთავრობის №145 დადგენილებით.